



N 1319/11
24/08/2015

1319-11-2-201508241709



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

ინსტიტუტის დირექტორს გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული თქვენი, 2015 წლის 14 აგვისტოს #OPD08/15-126, განცხადების პასუხად გაწვდით შემდეგ ინფორმაციას თქვენს მიერ მინიჭებული ნუმერაციის შესაბამისად :

- 1) 2015 წლის აპრილის თვეში ორ თანამდებობის პირს დაერიცხა პრემია: დავით პაპაშვილსა და ანზორ ალელიშვილს 200-200 ლარის ოდენობით.
- 2) 2015 წელს არცერთ თანამდებობის პირზე არ მომხდარა სახელფასო დანამატის დარიცხვა.

3) 2015 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებზე აპრილის თვეში დარიცხული პრემიის ოდენობამ შეადგინა 1400 (ერთი ათას ოთხასი) ლარი, ხოლო მაისის თვეში კი 200 (ორასი) ლარი. მთლიანობაში მიმდინარე წელს გამგეობის თანამშრომლებზე დარიცხულმა პრემიამ შეადგინა 1600 (ერთი ათას ექვსასი) ლარი.

- 4) 2015 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის არცერთ თანამშრომელზე არ მომხდარა სახელფასო დანამატის დარიცხვა.

7) 2015 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიძინა ექსკავატორ დამტვირთველი (მწარმოებელი - JCB, მოდელი- 3 CX ECO SUPER SITEMASTER, გამოშვების წელი-2015, შესყიდვის თარიღი 2015 წლის 7 აპრილი, ღირებულება 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარი).

11) მრავალშვილიან ოჯახებზე სოციალურ დახმარებაზე გაწეული დანახარჯი წლების მიხედვით კი ასე გამოიყურება:

2010 წელი - 8750 (რვა ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი;

www.idfi.ge

2011 წელი 7300 (შვიდი ათას სამასი) ლარი;

2012 წელი 9350 (ცხრა ათას სამას ორმოცდაათი) ლარი.

2013წელი 7850 (შვიდი ათას რვაასი) ლარი.

2014 წელი 13200 (ცამეტი ათას ორასი) ლარი.

2015 წელს კი პროგრამით 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარია გათვალისწინებული

ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ კითხვარზე პასუხს, ჩვენს მიერ მოწოდებული იქნება მოგვიანებით, ინფორმაციის დიდი მოცულობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

ლევან ცაბაძე



მუნიციპალიტეტის გამგებელი